საქართველოს განათლების სამინისტრო
ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა
ეროვნული ინსტიტუტი

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი საქართველოს ისტორიაში

Standards in Georgian History

1997 წელი

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek -
30001184

საქართველოს ისტორიის სტანდარტი შემუშავებულია განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ცნობილია, რომ კანონით სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი სკოლის „... საფეხურებისა და სწავლების ხანგრძლიობის საფუძველზე აღგენს სასწავლო დისციპლინათა ნუსხას, განსაზღვრავს სასწავლო საგნების ციკლთა შორის თანაფარდობას, სასწავლო დატვირთვის დასაშვებ მაქსიმუმს, სასწავლო პროგრამის შინაარსის სავალდებულო მინიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელი დონის კრიტერიუმებს საფეხურების მიხედვით და მოსწავლეთა მიღრეკილების გათვალისწინებით, სწავლების დიფერენცირების ზღვრულ ნორმებს, აგრეთვე სასწავლო მატერიალური ბაზისა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატიულ მოთხოვნებს“ (მუხლი 6). ამ ჩამონათვალიდან ეს სტანდარტი განსაზღვრავს სწავლების შინაარსის სავალდებულო მინიმუმს.

GE
Z-6
(1,97)

შემდგენლები: პროფესორი ფ. ლომაშვილი
დოცენტი ს. ვარდოსანიძე

საშუალო სკოლაში საქართველოს ისტორიის სწავლების გარდაქმნის აუცილებლობა

მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, რომელიც აღმოსავლური რენესანსის ერთ-ერთ მწვერვალად ითვლება, ევროპული რენესანსისა და მთელი ახალი ისტორიის მანძილზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. უცხოელთა გამუდმებული აგრესიის შედეგად პოლიტიკურად დაქუცმაცებული და ეკონომიკურად დაქვეითებული საქართველო დიდი ხნით მოწყდა დაწინაურებულ დასავლურ სამყაროს და აღმოსავლური ჩამორჩენილობის მარწუხებში მოექცა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ და თავის იმპერიულ სხეულში უშუალოდ ჩართვამ ქართულ კულტურას ევროპიზაციის ერთგვარი შესაძლებლობა შეუქმნა. მაგრამ ეს შესაძლებლობა მეტად შეზღუდული იყო. თვით რუსეთი ევროპას საგრძნობად ჩამორჩენოდა, რაც მთავარია, იგი საკუთარი კოლონიზატორული მიზნებით ხელმძღვანელობდა და თავისი „კულტურტრეგერული მისიის" განხორციელებას ცდილობდა. ჭეშმარიტად ეროვნული კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა მხოლოდ ცალკეულ პირთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ენთუზიაზმს ემყარებოდა. ასეთი მოღვაწეობის შედეგი იყო არა მარტო დაწყებითი და საშუალო სკოლების გახსნა, არამედ თვით ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებაც.

ქართული კულტურის აღორძინების პროცესი, რომელიც ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ დაიწყო, მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ ანექსიამ იგი საგრძნობლად შეაფერხა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართული კულტურის ცალკეულმა დარგებმა, მათ შორის სახალხო განათლებამ, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. შეიქმნა საშუალო და უმაღლესი განათლების ერთიანი სისტემა. საგრძნობლად გამტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განხორციელდა საყოველთაო წიგნიერებისა და სავალდებულო სწავლების პრინციპები. მაგრამ საბჭოური საგანმანათლებლო სისტემა არსებითი ნაკლოვანებებითა და მანკიერებებით ხასიათდებოდა. იგი თითქმის მთლიანად მოწყდა მსოფლიო მოწინავე გამოცდილებას და საბჭოური იდეოლოგიური დოგმების მარწუხებში მოექცა. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და სასწავლო პროცესები ერთმანეთისაგან გაითიშა. რაოდენობრივი მხარით საყოველთაო გატაცებამ სწავლების ხარისხი დიდად დაზარალა.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ყველაზე მეტად ისტორიის კვლევა და სწავლება დაზარალდა. 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე უმაღლეს და საშუალო სკოლაში ისტორიის სწავლება თითქმის მთლიანად გაუქმებული იყო. „საზოგადოებათმეცნიერებით" მისი შეცვლის ცდის სამარცხვინოდ ჩაშლის შემდეგ

ისტორიის სწავლება აღდგენილ იქნა, მაგრამ იგი გადაიქცა საბჭოთა რეჟიმის გამართლებისა და ქვეყნად „სოციალისტური სამოთხის“ ძალდატანებით დამყარების გარდუვალობის დასაბუთების ერთ-ერთ საშუალებად. ისტორიის სწავლების მთავარ ამოცანად გამოცხადდა მარქსისტული იდეოლოგიის „შუქზე“ შეძენილი „ისტორიის ცოდნის“ გადაქცევა „რწმენად“, რაც ფაქტობრივად მოსწავლეთა შემეცნებაში ახალი რელიგიის დამკვიდრების ცდას წარმოადგენდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ცდილობდა საბჭოთა კავშირის ხალხების ისტორიის დაკნინების ხარჯზე განსაკუთრებით გამოეკვეთა რუსი ხალხის ისტორიის როლი.

ამ მთავარი ამოცანების განხორციელებას ემსახურებოდა არა მარტო სწავლების შინაარსი, არამედ მისი სტრუქტურაც, ისტორიისათვის განკუთვნილი მთელი სასწავლო დროის ნახევარზე მეტი ეთმობოდა ე.წ. „სსრკ ისტორიას“, რომელიც საისტორიო განათლების საფუძვლად ითვლებოდა და ფაქტობრივად რუსეთის ისტორიას წარმოადგენდა. რაც შეეხება მშობლიურ ისტორიას, იგი მეტად შეზღუდული მოცულობით ისწავლებოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში იმთავითვე ჩაიფუშა საბჭოთა ხელმძღვანელობის განზრახვა, რომ ეროვნულ რესპუბლიკებში მშობლიური ისტორიის სწავლებას მხოლოდ მხარეთმცოდნეობითი ფუნქცია შეესრულებინა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ივ.ჯავახიშვილის, ს.ჯანაშიას და ნ.ბერძენიშვილის სასკოლო სახელმძღვანელოს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით უზრუნველყოფდა საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის სწავლებას.

სერიოზული როლი შეასრულა აგრეთვე შ.მესხიას და ვ.გუჩუას სახელმძღვანელომ, რომელიც საქართველოს ისტორიის ახალ და უახლეს პერიოდებსაც მოიცავდა.

საბჭოთა იმპერიის რღვევის ბოლო ეტაპზე, განსაკუთრებით ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, სასკოლო საისტორიო განათლებაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. შეიქმნა და პრაქტიკაში დაინერგა რ.მეტრეველის, ლ.სანიკიძის, მ.ლორთქიფანიძის, ნ.ასათიანის, ფ.ლომაშვილის, კ.ანთიძის, ნ.მამუკელაშვილის, ც.ჩიკვაიძის, ქ.თვალიაშვილის და გ.ბოლოთაშვილის ახალი სახელმძღვანელოები საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის თითქმის ყველა პერიოდისათვის. გაუმჯობესდა სასწავლო გეგმები და პროგრამები. გაღრმავდა და გაფართოვდა მშობლიური ისტორიის სწავლება. გაიზარდა მისი ადგილი და როლი საერთო საისტორიო განათლებაში. სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურაში პირველად დამუშავდა ან ახლებურად გაშუქდა ბევრი თემა და კონკრეტული პრობლემა, რომლებიც ადრე არასწორად შუქდებოდა, ან საერთოდ აკრძალულად ითვლებოდა.

მიუხედავად ამისა, ისტორიის სწავლება საქართველოს საშუალო სკოლაში ამჟამადაც სერიოზული ხარვეზებითა და ნაკლოვანებებით ხასიათდება. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტები, სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები, მეთოდური

და სხვა დამხმარე ლიტერატურა. თვით ზემოხსენებული ახალი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოებიც ძირეულ გადამუშავებას ან ხელახლად დაწერას საჭიროებს.

ეს ხარვეზები და ნაკლოვანებები განსაკუთრებით მკაფიოდ შეინიშნება მთელი სახალხო განათლების იმ ძირეული რეფორმის შუქზე, რომელიც ამჟამად ხორციელდება.

ამრიგად, საქართველოში საისტორიო განათლების ტრადიციული გამოცდილებაც და თანამედროვე მდგომარეობაც მისი ძირეული გარდაქმნა-გაუმჯობესების აუცილებლობას ადასტურებს.

საქართველოს თითქმის 800 წლის განმავლობაში არ ჰქონია ნორმალური პირობები და რეალური შესაძლებლობები საისტორიო განათლების სათანადო დონეზე დაყენებისათვის. თანამედროვე საქართველოს ასეთი პირობები და შესაძლებლობები აქვს. იგი წარმოადგენს აღორძინების გზაზე შემდგარ სახელმწიფოს, რომელიც განუხრელად მიისწაფის სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობისაკენ. ამიტომ მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, შექმნას განათლების საკუთარი და ორიგინალური სისტემა, რომელშიც სასკოლო საისტორიო განათლებამ სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს.

თანამედროვე საქართველოსათვის სულ ერთი როდია, თუ რა ხასიათს მიიღებს მისი შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება. მან მტკიცედ აირჩია განვითარების დემოკრატიული მოდელი, რომლის ცხოველმყოფელობა და სიცოცხლისუნარიანობა მთელი მსოფლიოს ისტორიული გამოცდილებით არის დადასტურებული. ამიტომ დღევანდელ საქართველოს ესაჭიროება საისტორიო განათლების არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ ისეთი მოდელი, რომელიც ქვეყნის ყოველმხრივი დემოკრატიზაციის პერსპექტივებს შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აღზრდას საერთაშორისო, პოლიტიკური კულტურული, რელიგიური და იდეოლოგიური ტოლერანტიზმის სულისკვეთებით.

სასკოლო საისტორიო განათლების გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლეთა აღზრდა უნივერსალური ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ფასეულობებისადმი ერთგულებისა და პატივისცემის სულისკვეთებით. ამ პრინციპმა ასახვა უნდა ჰპოვოს უპირველეს ყოვლისა წინამდებარე სახელმწიფო სტანდარტში. მას საფუძვლად უნდა დაედოს, როგორც ეროვნული, ისე საერთოსაკაცობრიო გამოცდილება.

ერთი სიტყვით, სასკოლო საისტორიო განათლების ძირეული გარდაქმნის უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ დაძლიოს დღემდე არსებული ნაკლოვანებები და თავისი დონით შეძლებისდაგვარად მსოფლიოს სტანდარტებს გაუტოლდეს.

საქართველოს ისტორიის სტანდარტის აგების პრინციპები და ძირითადი დებულებები

საბჭოთა რეჟიმის პირობებში საერთო საიმპერიო საგანმანათლებლო პოლიტიკისა და უნიფიცირებული სასკოლო სისტემის წყალობით ეროვნულ-რესპუბლიკური სასწავლო სტანდარტების შედგენა დაუშვებელი იყო. ცენტრის მიერ შედგენილი პროგრამები კი სახელმწიფო კანონის დონემდე იყო აყვანილი. ცენტრი ადგენდა აგრეთვე მთელი ქვეყნისათვის საერთო და სავალდებულო სასწავლო გეგმებს, სახელმძღვანელოებს და თვით მეთოდურ და დამხმარე ლიტერატურასაც.

თანამედროვე პირობებში, როცა რეფორმის საფუძველზე საერთო საბაზო სკოლასთან ერთად საქართველოში იქმნება სხვადასხვა ტიპისა და პროფილის საშუალო სასწავლებლების მრავალფეროვანი ქსელი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ყველა ამ სასწავლებლებისათვის სავალდებულო დისციპლინების, მათ შორის მშობლიური ისტორიის, სტანდარტების შემუშავება.

წინამდებარე სტანდარტის შემდგენლები ითვალისწინებენ, რომ სასწავლო სტანდარტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია. სასწავლო სტანდარტი სახელმწიფოს ისეთი დაკვეთაა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ საგნის სწავლებისა და შესწავლის მინიმალურ და მაქსიმალურ ჩარჩოებს.

აქედან გამომდინარეობს, რომ საქართველოს ისტორიის სახელმწიფო სტანდარტმა უნდა განსაზღვროს მხოლოდ ის პარამეტრები, რომელთა შიგნით სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვთანელოების შემდგენლებს მოქმედების სრული თავისუფლება ექნებათ.

საქართველოს ისტორიის პროპედევდიკური (V კლასი) და სისტემური კურსის პირველი კონცენტრის (VII, VIII,IX კლასები) სტანდარტები საბაზო სკოლისთვისაა განკუთვნილი და, ამრიგად, ყველასათვის საერთოა. ამიტომ ისინი შესაბამისი კლასების სასწავლო პროგრამებს და სახელმძღვანელოებს უშუალოდ და უცვლელად დაედება საფუძვლად. რაც შეეხება მეორე კონცენტრის (X, XI და XIIკლასების) სტანდარტებს, იგი გიმნაზიების შესაბამისი კლასებისათვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამებს და სახელმძღვანელოებს დაედება საფუძვლად. ლიცეუმებსა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებს კი საშუალება ექნებათ, წინამდებარე სტანდარტებისა და თავიანთი სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნან სათანადო პროგრამები და სახელმძღვანელოები, ანდა, საჭირო შემთხვევაში, საკუთარი ორიგინალური პროგრამები და სახელმძღვანელოები.

მსოფლიო პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ და მეთოდიკურ ლიტერატურაში სასკოლო ისტორიული აზროვნების ხუთ ძირითად დონეს (საფეხურს, კატეგორიას) გამოყოფენ: 1.ქრონოლოგიურ-ხატოვან-ემოციურს; 2. ისტორიულ-ლოგიკურს ანუ

.მიზეზ-შედეგობრივს; 3. ანალიტიკურ-ინტერპრეტაციულს; 4. კრიტიკულ-შეფასებითს და 5. პლურალისტურ-ალტერნატიულს.

სასკოლო ისტორიული აზროვნების ასეთ კატეგორიებად დაყოფა ცხადია, პირობითია, ყოველი მათგანის ელემენტები ამა თუ იმ ზომით ისტორიული შემეცნების ყველა საფეხურს ახასიათებს. დაყოფას საფუძვლად ის უდევს, რომ ყოველი მომდევნო საფეხური ერთდროულად წინა საფეხურების ელემენტებსაც შეიცავს და ისეთ მთავარ დამახასიათებელ და უფრო მაღალი დონის ელემენტსაც, რომელიც ამ საფეხურზე დომინანტობს.

ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ ათწლიან და თერთმეტწლიან საბჭოურ იდეოლოგიზირებულ საშუალო სკოლაში ისტორიის პლურალისტურ-ალტერნატიული სწავლება მთლიანად უგულებელყოფილი იქნა, წინამდებარე სტანდარტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ასეთი სწავლების დანერგვის აუცილებლობას თანამედროვე საქართველოს ახალ თორმეტწლიან სკოლაში, ეს საშუალებას მოგვცემს, მსოფლიო სტანდარტების დონეს მივუახლოვოთ არა მარტო ჩვენს სკოლაში ისტორიული ცოდნის ათვისების ხარისხი, რამაედ აგრეთვე მოსწავლეთა აზროვნებისა და უნარ-ჩვევების განვითარების დონეც. აგრეთვე საშუალო სკოლის X-XI-XII კლასებში უფრო ფართოდ დავნერგოთ ისტორიის სწავლების სადისკუსიო და სხვა თანამედროვე ხერხები და მეთოდები.

აღსანიშნავია, რომ X-XI კლასების საქართველოს ისტორიას ამჟამად მოქმედ სახელმძღვანელოებში სადისკუსიო მეთოდები და ხერხები გარკვეული დოზით უკვე გათვალისწინებულია და სასწავლო პრაქტიკაში მისმა დანერგვამ დადებითი შედეგი მოგვცა.

დაწყებით სკოლაში ისტორიული შინაარსის მასალის გადაცემა ხორციელდება ისტორიული მოთხრობებისა და ისტორიული ექსკურსების სახით ქართული ენის, უცხოური ენისა და ბუნებისმცოდნეობის კურსის სწავლების II-IV კლასებში, ხოლო როგორც დამოუკიდებელი საგანი, ისტორია ისწავლება V კლასიდან.

წინამდებარე სტანდარტი სამ კომპონენტს შეიცავს:

სასწავლო მასალის შინაარსი. მისი დანიშნულებაა მხოლოდ ზოგად ხაზებში განსაზღვროს ის თემები და მიმართულებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სწავლების მთელ პროცესს. იგი უპასუხებს კითხვას, თუ რა უნდა იქნას შესწავლილი.

მოსწავლის ცოდნის მინიმუმი. მისი დანიშნულებაა, განსაზღვროს ცოდნის მოცულობის ის მინიმუმი, რომელიც მოსწავლემ აუციცილებლად უნდა აითვისოს. ის უპასუხებს კითხვას, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ.

მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნებისა და მის მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევები. მისი დანიშნულებაა გამოუმუშაოს მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნებისა და შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევები. იგი უპასუხებს კითხვას, თუ რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს.

წინამდებარე სტანდარტის შედგენისას გათვალისწინებულია, როგორც მშობლიური ისტორიის, ისე მსოფლიო ისტორიის ზოგადსაგანმანათვლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. კერძოდ, გათვალისწინებულია, რომ ისტორია, საერთოდ, წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებათმცოდნეობითი დისციპლინების გამაერთიანებელ ვერტიკალურ ღერძს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს და სისტემურ ხასიათს აძლევს მათ სწავლებას. ამავე დროს ისტორია ჰუმანიტარულ ასპექტს ანიჭებს საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიური და სხვა ციკლების საგნებსაც. ამრიგად, ისტორიის სწავლება უზრუნველყოფს მთელი სასკოლო განათლების ჰუმანიტარიზაციას, რაც თანამედროვე მსოფლიოში აღიარებულია სასკოლო განათლების საუკეთესო ვარიანტად. რადგან მრავალფეროვანი სამყაროს ცენტრში ადამიანს აყენებს.

რაც შეეხება მშობლიურ ისტორიას, იგი თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღიარებულია საერთო ისტორიული განათლების საფუძვლად. ეს მითუმეტეს ითქმის საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, რომლის ფაქტები და მოვლენები საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ კაცობრიობის ისტორიის თითქმის ყველა ძირითად ეტაპს და უკეთ გავიცნობიეროთ მისი განვითარების დამახასიათებელი კანონზომიერებები.

საქართველოს საშუალო სკოლებში მშობლიური ისტორიის გაცნობა იწყება V კლასში „საქართველოს ისტორიის მატიანეს“ საშუალებით. იგი პროპედევტიკური ხასიათისაა და შეიცავს საქართველოს ისტორიის ცალკეულ ელემენტებს და ეპიზოდებს. მისი დანიშნულებაა, მისცეს მოსწავლეებს ზოგადი წარმოდგენა მშობლიური ქვეყნის წარსულზე და თანამედროვეობაზე. იგი კლასში მსოფლიოს ისტორიის ძირითადი ცნებებისა და კომპონენტების გაგებისათვის აუცილებელ ელემენტებსა და ეპიზოდურ მასალებსაც უნდა შეიცავდეს. საწინააღმდეგო შემთხვევაში აუცილებელი გახდება ცალკე პროპედევტიკური კურსის შემოღება მსოფლიოს ისტორიისათვისაც.

საქართველოს ისტორიის ძირითადი სისტემური კურსი საშუალო სკოლაში ორ სამწლიან კონცენტრად შეისწავლებოდა. პირველი კონცენტრი იწყება საბაზო სკოლის VII კლასში, გრძელდება VIII კლასში და მთავრდება IX კლასში. იგი მოიცავს მშობლიური ქვეყნის სისტემურ ისტორიას დასაბამიდან დღემდე.

საქართველოს ისტორიის ძირითადი კურსის მეორე კონცენტრი იწყება X კლასში. გრძელდება XI კლასში და მთავრდება XII კლასში. იგი მოიცავს მშობლიური ქვეყნის სისტემურ ისტორიას დასაბამიდან დღემდე. პირველი კონცენტრისაგან ის განსხვავდება უპირველეს ყოვლისა საგნის შესწავლის დონით, შეიცავს წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ მომენტებს და ატარებს პლურალისტურ- ალტერნატიულ ხასიათს.

პირველ და მეორე კონცენტრებზე საშუალო სკოლაში საქართველოს ისტორიის სწავლება განსხვავებული იქნება სტანდარტის ოთხივე კომპონენტით, მაგრამ არსებით განსხვავებას მაინც საგნის შესწავლის დონე შექმნის.

წინამდებარე სტანდარტი ითვალისწინებს კონკრეტულ მოთხოვნებს ორივე კონცენტრის თითოეული კლასისათვის, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს და გაუადვილებს შესაბამისი პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შექმნას.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიის მასალის დანაწილებას კლასების მიხედვით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ეს შემდეგნაირად მოხდეს.

V კლასში - „საქართველოს ისტორიის მატიანე" - პროპედევდიკური (წინასწარი) კურსი.

VII კლასში - საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის პირველი კონცენტრის პირველი ნაწილი-უძველესი დროიდან - XIII ს. 20-იან წლებამდე.

VIII კლასში - საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის პირველი კონცენტრის მეორე ნაწილი - XIII ს. 20-იანი წლებიდან - XVIII ს. დასასრულამდე.

IX კლასში - საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის პირველი კონცენტრის მესამე ნაწილი-XIX-XX საუკუნეები.

X კლასში - საქარველოს ისტორიის სისტემატური კურსის მეორე კონცენტრის პირველი ნაწილი - უძველესი დროიდან - XIII ს. 20-იან წლებამდე.

XI კლასში - საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის მეორე კონცენტრის მეორე ნაწილი - XIII ს. 20-იანი წლებიდან - XVIII ს-ის დასასრულამდე.

XII კლასში - საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის მეორე კონცენტრის მესამე ნაწილი -XIX-XX საუკუნეები.

ასეთი დანაწილების მიზანშეწონილებაზე მეტყველებს ისიც, რომ VI კლასში იწყება ძველი მსოფლიოს ისტორიის შესწავლა. ამიტომ VII კლასიდან დაწყებული მსოფლიო და მშობლიური ისტორიების შესწავლა თითქმის სინქრონულად განხორციელდება. მაგრამ საკურსო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემდგენლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ საქართველოს ისტორიის ახალი პერიოდის დასაწყისი (XIX ს. დასაწყისი) არ ემთხვევა მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდის დასაწყისს (XVI-XVII სს.).

რაც შეეხება თითოეულ კლასში საქართველოს ისტორიისათვის განკუთვნილ სასწავლო დროს (საათებს), იგი საქართველოს განათლების სამინისტრომ სასწავლო სამუშაო გეგმით უნდა განსაზღვროს იმის გათვალისწინებით. რომ ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად რუსეთის, სტანდარტი ისტორიისათვის განკუთვნილი მთელი სასწავლო დროის ნახევარს ან ორ მესამედსაც კი მოითხოვს.

საქართველოს ისტორიის პროპედევტიკური კურსის სახელმწიფო სტანდარტი ელემენტარული სკოლისათვის

სასწავლო მასალის შინაარსი

- ბუნებრივი და ისტორიული დრო.
- ისტორიული დროის ხაზი /შკალა/.
- ისტორია და ისტორიის მეცნიერება.
- ისტორიის მეცნიერული ცოდნის წყაროები.
- ისტორიული მეცნიერების ძირითადი დარგები.
- გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული რუკა.
- ისტორიის პროცესი და ისტორიის რუკა.
- კაცობრიობის აღმავალი განვითარების გზა.
- საქართველო, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა.
- საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, საზღვრები, მეზობლები.
- უცხოელთა ცნობები ძველი საქართველოს შესახებ.
- ერთიანი საქართველოს სამეფოს წარმოქმნა.
- ძველი ქართული კულტურა და რელიგია /წარმართობა/.
- საქართველოს გაქრისტიანება.
- ქრისტიანობისათვის წამებული საქართველოს წმინდანები.
- საქართველოს ისტორიული დედაქალაქები.
- საქართველოს გაერთიანება - დავით აღმაშენებელი
- საქართველოს გაძლიერება. თამარ მეფე.

- ქართული კულტურის აყვავება. შოთა რუსთაველი.
- უცხოელ დამპყრობლებთან მებრძოლი გმირები.
- რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა.
- ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა-ი.ჭავჭავაძე.
- საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.
- საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს კვლავ დაპყრობა.
- საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის კვლავ
- აღდგენა.
- თანამედროვე საქართველო.

მოსწავლის ცოდნის სავალდებულო მინიმუმი

საქართველოს ისტორიის პროპედევტიკური კურსის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- ისტორიული დრო ბუნებრივი დროის მხოლოდ მცირე ნაწილია და მხოლოდ ადამიანთა საზოგადოების აღმოცენების შემდეგ იწყება.
- კალენდარულ დროს აქვს თავისი საზომი ერთეულები, რომელთა საშუალებით შკალაზე აღბეჭდვა შესაძლებელია.
- ისტორია, როგორც საზოგადოების მთელი წარსული, და ისტორია, როგორც ამ წარსულის შესახებ მეცნიერული ცოდნა, განსხვავებული ცნებებია.
- ნივთიერი, წერილობითი და სხვა ისტორიული წყაროები წარსულში ადამიანთა მოქმედების ის ნაშთებია, რომელთა საშუალებით შესაძლებელია საზოგადოების მთელი წარსულის მხოლოდ ნაწილის თანდათანობით აღდგენა /რეკონსტრუქცია/.
- ისტორიული მეცნიერების ცალკეული დარგები /არქეოლოგია, ეთნოლოგია, ტოპონომიკა, ნუმიზმატიკა,გენეალოგია, ჰერალდიკა და სხვ./ საზოგადოების ისტორიის საერთო სურათის აღდგენას სხვადასხვანაირად ემსახურებიან.
- ისტორიული რუკა განსხვავდება ფიზიკური, პოლიტიკური და სხვა სახის

- რუკებისაგან და ასახავს გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტებს და მოვლენებს: სახელმწიფოსა და მისი ნაწილების საზღვრებს, ქალაქებს, ომებს და სხვ.

- კაცობრიობამ თავისი განვითარების გზაზე მრავალი საფეხური განვლო პირველყოფილი ჩამორჩენილობიდან /ქვის იარაღები, გვაროვნული წყობილება/ თანამედროვე ტექნიკურ მიღწევებამდე /ტელევიზია, კომპიუტერი, რობოტი/ და თავისუფალ ადამიანთა სამოქალაქო საზოგადოებამდე.

- საქართველო არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა, რომელმაც კაცობრიობის განვითარებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა საფეხური განვლო.

- უძველესი ცნობები ქართულ ტომთა სახელმწიფოებრივი გაერთიანების „დიოხისა“ და „კოლხის“ შესახებ შემონახულია ურარტულ-ლურსმულ წარწერებში და ბერძნულ „არგონავტების“ მითში.

- აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მომცველი ერთიანი სახელმწიფო წარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ს. დასასრულს და III ს. დასაწყისში, ე.ი. 2300 წლის წინად და მისი პირველი მეფე იყო ფარნავაზი.

- ძველი ქართული კულტურის მაღალი დონის დამადასტურებელია ის ნივთები, რომლებიც არქეოლოგებმა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს და ამჟამად მუზეუმებში ინახება.

- ძველი ქართული რელიგია (წარმართობა) კერპთთაყვანისმცემლური ხასიათის იყო.

- საქართველოს გაქრისტიანებას (ჩვენი წელთაღრიღხვის IV ს. 30-იანი წლები)

- დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელ მოწინავე ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის გაფართოებისათვის.

- საქართველოს ეკლესიას ჰყავს ქრისტიანობისათვის წამებულ წმინდანთა მთელი დასი (შუშანიკი, ევსტათი, აბო და სხვ.).

- უცხოელ დამპყრობლებთან შეურიგებელი ბრძოლის გაჩაღება და საქართველოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანა დაკავშირებულია ვახტანგ გორგასლისა და მისი მემკვიდრეების სახელთან.

- არაბთა ბატონობის შედეგად (VII-Xსს.) საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა.

- საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანება დასრულდა დავით აღმაშენებლის დროს.

საქართველოს ძლიერებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია თამარ მეფის დროს.

ქართული კულტურის მწვერვალად ითვლება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", რომელიც მოწინავე საკაცობრიო იდეებს ქადაგებს

მონღოლთა ბატონობისა და თემურ ლენგის შემოსევების შედეგად საქართველო კვლავ დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად.

უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლ მეფეთა და გმირთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, ლუარსაბ I, ქეთევან დედოფალი, თედორე მღვდელი, გიორგი სააკაძე/.

კრწანისის ბრძოლაში ქართლ-კახეთის სამეფოს დამარცხებას საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საქართველოსათვის.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით (XIX ს.დასაწყისი) დაიწყო ჩვენი ქვეყნის სამეფო-სამთავროებისა და ისტორიული ტერიტორიების თავმოყრა-გაერთიანება. მაგრამ, საქართველომ დაკარგა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, რასაც ქართველმა ხალხმა ეროვნულ-განმათავისუფთლებელი მოძრაობით უპასუხა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა XIXს. მეორე ნახევრიდან, როცა მას სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა და ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღდგენილ იქნა, მაგრამ, 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა ის კვლავ დაიპყრო.

1991 წლის 9 აპრილს საქართვთელოს დამოუკიდებლობა და ეროვნული სახელმწიფოებრიობა კვლავ აღდგენილ იმქნა.

თანამედროვე საქართველო წარმოადგენს მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიერ აღიარებულ ერთ-ერთ დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს თავისი ტერიტორია, ხელისუფლების ორგანოები,ღერბი, დროშა, ჰიმნი და სხვა განმასხვავებელი ნიშნები. იგი თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, თავისი მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის.

3. მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნება და უნარ-ჩვევები

ისტორიის პროპედევტიკური კურსის გავლის შედეგად მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- საზოგადოების ისტორიული წარსულის, თანამედროვე მდგომარეობისა და მომავლის ერთმანეთისაგან გარჩევა.
- ისტორიული ლიტერატურის სხვა სახის ლიტერატურისაგან (ზღაპრულ-მითოლოგიური, მხატვრული და სხვ.) განსხვავება.
- ისტორიული დროის ხაზის (შკალის) ქაღალდზე და დაფაზე აგება და სათანადო განმარტება.
- სახელმძღვანელოში შეტანილი მცირე ზომის ისტორიული მოთხრობის, ნოველის, ეპიზოდის ძირითადი შინაარსის ზეპირად მოყოლა და მასთან დაკავშირებით მასწავლებლის მიერ კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.
- სახელმძღვანელოებში ილუსტრაციების სახით მოცემული ძველი ადამიანის შრომითი და საბრძოლო იარაღების ამოცნობა, დასახელება და მათი ფუნქციური დანიშნულების განმარტება.
- ძველი ადამიანის ძირითადი შრომითი და საბრძოლო იარაღების (ურო, ნამგალი, შუბი, მახვილი, შვილდისარი და სხვ.) ქაღალდზე ან დაფაზე კონტურული მონახაზის გაკეთება და სათანადო ზეპირი ახსნა-განმარტება.
- ისტორიული და სხვა სახის რუკების ერთმანეთისაგან განსხვავება.
- საკუთარი გვარის გენეოლოგიური შტოს ან გრაფიკული გამოსახულების შედგენა.
- უძველესი და უახლესი დასახლებების, საცხოვრებლების, შრომითი და საბრძოლო იარაღების, ტექნიკური მიღწევების ერთმანეთთან შედარება და სათანადო დასკვნების გაკეთება.
- ძველი და თანამედროვე ეროვნული და უცხოური ჩაცმულობის ერთმანეთიან შედარება და სათანადო დასკვნების გაკეთება.
- ძველი და თანამედროვე ყოფა-ცხოვრების წესების ერთმანეთთან შედარება და სათანადო დასკვნების გაკეთება.
- სახელმწიფოს შედარება საზოგადოებრივი გაერთიანებების უძველეს პრიმიტიულ ფორმებთან (გვარი, ტომი) და მისი უპირატესობის დახასიათება.

- ანბანური დამწერლობის შედარება უძველეს პრიმიტიულ ფორმებთან (იეროგლიფური, ლურსმული) და მისი უპირატესობის დასაბუთება.
- წარმართული რელიგიური ლეგენდებისა და სახარებისეული სიუჟეტებისა და ილუსტრაციების ერთმანეთისაგან გარჩევა.
- საქართველოს დაშლა-გაერთიანების ისტორიული პროცესის ძირითადი ეტაპების ერთმანეთთან შედარება და გაერთიანების ეტაპების უპირატესობის დასაბუთება.
- საქართველოს დამოუკიდებლობისა და სხვა ქვეყნების მიერ მისი დაპყრობა-დამორჩილების დახასიათება.
- საქართველოს გამოჩენილი მეფეების, მწერლების, გმირებისა და საეკლესიო წმინდანების მოღვაწეობის დახასიათება, ერთმანეთიან შედარება და შეფასება.

საქართველოს ისტორიის კურსი უძველესი დროიდან XIII ს. 20-იან წლებამდე

საქართველოს ისტორის პროპედევდიკური კურსისაგან განსხვავებით, რომელიც მოსწავლეთა ინტერესის ხასიათს ატარებს და მშობლიური ისტორიისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვიძებას ემსახურება, ძირითადი კურსი სისტემური ხასიათისაა და მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის მეცნიერული საფუძვლების დაუფლებას. პირველი ძირითადად სამ კითხვას - სად? როდის? რა? - პასუხობს. მეორეში წინა პლანზე დგება კითხვები: რატომ? რა მიზეზით? ის გარემოება, რომ მოსწავლეებს უკვე გავლილი აქვთ საქართველოს ისტორიის კურსი, ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებას რეალურ საფუძველს უქმნის.

პირველი კონცენტრის სამივე კლასის სტანდარტში, პროგრამებში და სახელმძღვანელოებში, აგრეთვე სწავლების პროცესში საკითხები განიხილება ცალსახად, ე.ი. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გაბატონებული, ან ავტორთა მიერ არჩეული თვალსაზრისით.

სასწავლო მასალის შინაარსი

- ისტორიის საგანი და ამოცანები.
- ისტორიის დამხმარე დისციპლინები.
- ისტორიული ქრონოლოგიის ძირითადი სისტემები.
- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები და დახასიათება.
- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ძირითადი წყაროები.
- საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო.
- ქართველთა წარმომავლობა და ავტოქტონობა.
- ქვის ხანა საქართველოს ტერიტორიაზე.
- ბრინჯაოს ხანა საქართველოს ტერიტორიაზე.
- ქართველ ტომთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები-დიაოხი და კოლხა.
- ეგრისისა (კოლხეთის) და იბერიის (ქართლის) სახელმწიფოების ჩამოყალიბება.
- ეგრისისა და იბერიის სამეფოები ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.
- ანტიკური და ელინისტური ხანის ქართული კულტურა და რელიგია.
- ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა.
- ქრისტიანობის გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.
- ქართველი ხალხის ბრძოლა პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის. ვახტანგ გორგასალი.
- ირანისა და ბიზანტიის მეტოქეობა საქართველოში გაბატონებისათვის.
- საქართველო არაბთა ბატონობის პერიოდში.
- ახალი ქართული სამეფო-სამთავროების აღმოცენება.
- ქართული კულტურა და ეკლესიაIV-VIII საუკუნეებში.

- ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის.
- ქართული კულტურის აღმავლობა IX-XI საუკუნეებში.
- საქართველოს გაერთიანების დასრულება. დავით აღმაშენებელი.
- ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერება. თამარ მეფე.
- ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება.
- ქართული კულტურა XII-XIII საუკუნეებში.

მოსწავლის ცოდნის სავალდებულო მინიმუმი

საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის პირველი კონცენტრის პირველი ნაწილის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- ისტორიის, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური მეცნიერების, ადგილი მეცნიერებათა საერთო სისტემაში და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა;
- დამხმარე ისტორიული დისციპლინების როლი ისტორიის მეცნიერებათა სისტემაში.
- სხვადასხვა ქრონოლოგიური სისტემების შინაარსი და მნიშვნელობა.
- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ცალკე კურსად გამოყოფის პირობითობა.
- ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის პრინციპები და წერილობითი წყაროების განსაკუთრებული მნიშვნელობა.
- გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, საქართველოს გეოგრაფიული გარემოს, პირველ რიგში, კავკასიის ქედისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში.
- ქართველთა ავტოქტონობის დამადასტურებელი ძირითადი მონაცემები, მისი მნიშვნელობა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური კულტურის კუთვნილების დასადგენად.
- ქვის ხანის პერიოდები; გვარის, ტომის, გვაროვნული და სამეზობლო თემის დამახასიათებელი ნიშნები.

- ბრინჯაოს ხანის პერიოდები, მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები, „მტკვარ-არაქსისა“ და „თრიალეთის“ კულტურების მნიშვნელობა, კერძო საკუთრების წარმოშობა და ქონებრივი დიფერენციაცია. ტომთა კავშირების დამახასიათებელი ნიშნები.

- ქართველ ტომთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების დიაოხისა და კოლხას შესახებ შემონახული ცნობები, ამ გაერთიანებათა ადგილი და მნიშვნელობა ქართული ცივილიზაციის ისტორიაში.

- პირველი ქართული სახელმწიფოების - ეგრისისა და ქართლის სამეფოების - წარმოშობის დრო- საზღვრები, მათი ურთიერთობა ერთმანეთთან და მეზობელ ხალხებთან. ამ სახელმწიფოთა ადგილი ქართული ცივილიზაციის განვითარებაში.

- ეგრისისა და ქართლის სამეფოების ისტორიის ძირითადი ფაქტები და მოვლენები ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლიდან რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფამდე. მათი ურთიერთობა სელევკიდების სამეფოსთან, სომხეთთან, პონტოსთან, რომთან.

- საერთო სახელმწიფოებრივი კერპთთაყვანისმცემლობის დამკვიდრების მნიშვნელობა ქართველთა რელიგიური წარმოდგენებისა და ეროვნული თვითშეგნების განვითარებაში. „არმაზის ბელინგვის“ მნიშვნელობა.

- ქართული ფეოდალიზმის ხასიათი, მისი განვითარების სამი ძირითადი ეტაპის ქრონოლოგიური ჩარჩოები, საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

- საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასშორის არსებული განსხვავება. საქართველოს გაქრისტიანების მიზეზები და პროგრესული მნიშვნელობა.

- ვახტანგ გორგასალის როლი საქართველოს პოლიტიკურ და საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, საქართველოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანაში.

- ირან-ბიზანტიის ომების მიზეზები. მათი შედეგები ქართლისა და ლაზიკის სამეფოებისათვის. ქართული და სომხური ეკლესიების განხეთქილების მიზეზები.

- ქართველი ხალხის ბრძოლა არაბ დამპყრობლებთან. არაბთა უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების შინაგანი და საგარეო მიზეზები.

- ქრისტიანული ეკლესიის პროგრესული როლი ქართული კულტურის განვითარებაში. ქართული ანბანური დამწერლობის აღმოცენების მიზეზები და შედეგები. აგიოგრაფიული ლიტერატურისა და ხუროთმოძღვრების ძირითადი ნიმუშები.

- საქართველოს გაერთიანების ძრითადი შინაგანი და საგარეო პირობები.

- გამაერთიანებელი მოძრაობის ძირითადი ეტაპები. თურქსელჩუკთა ექსპანსიის თავისებურება, მიზეზები და შედეგები.

- საქართველოს გაერთიანების მნიშვნელობა ქართული კულტურის განვითარებაში. IX-XI სს. აგიოგრაფიული ლიტერატურის და ხუროთმოძღვრების ძირითადი ნიმუშები, ადგილობრივი და საზღვარგარეთული ცენტრების მნიშვნელობა.

- დავით აღმაშენებლის პოლიტიკური, საეკლესიო და სამხედრო რეფორმების მიზეზები და პროგრესული ხასიათი. დიდგორის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა. საქართველოს ისტორიული საზღვრების გაფართოების მიზნები და ამოცანები.

- ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის მიზეზები, მიზნები და შედეგები. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ექსპანსიის გაძლიერება და საერთაშორისო გავლენის გაზრდა. თამარის მეფობა- ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერების მწვერვალი.

- განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოს სახელმწიფო წყობილება. ბატონყმური ურთიერთობებისა და კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება.

- XII ს. და XIII ს. დასაწყისის კულტურული აღმავლობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში. მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების აყვავების დამადასტურებელი ძეგლები. „ვეფხისტყაოსნის“ საკაცობრიო მნიშვნელობა.

მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება და უნარ-ჩვევები

საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსის პირველი კონცენტრის პირველი ნაწილის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- ისტორიის, როგორც საზოგადოების მთელი წარსულის და ისტორიის, როგორც ამ წარსულის შესახებ მეცნიერების, ცნებების ერთმანეთისაგან განსხვავების ახსნა-განმარტება.

- ისტორიული წყაროს და ისტორიოგრაფიული ნაწარმოების ერთმანეთისაგან განსხვავების ახსნა-განმარტება.

- სხვადასხვა ქრონოლოგიური სისტემებით დაფიქსირებული თარიღების ქრისტიანულ სისტემაზე გადაყვანა.

- საქართველოს გეოგრაფიული გარემოს დახასიათება სახელმძღვანელოებში მოცემულ რუკებზე და სქემებზე ჩვენებით და სათანადო ახსნა-განმარტებით.

- საქართველოს საზღვრებისა და მისი მეზობელი ქვეყნების ჩვენება კედლის სასკოლო რუკებზე სათანადო ახსნა-განმარტებით.
- სახელმძღვანელოს ტექსტის დამოუკიდებლად გაგება და შინაარსის ზეპირად მოყოლა.
- სახელმძღვანელოში შეტანილი დოკუმენტური წყაროების ტექსტის გაგება მასწავლებლის დახმარებით და მისი ძირითადი შინაარსისა და მნიშვნელობის ზეპირად გადმოცემა.
- სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციების შინაარსის გაგება და განმარტება.
- სახელმძღვანელოში შეტანილი სქემებისა და დიაგრამების გაგება და პრაქტიკული გამოყენება.
- სხვადასხვა სახის ისტორიული რუკების გაგება და გამოყენება.
- სახელმძღვანელოში შეტანილი ძირითადი ცნებების შინაარსის ზეპირად ახსნა-განმარტება.
- სახელმძღვანელოს ტექსტში ნახმარი უცხო სიტყვებისა და ტერმინების ლექსიკონის შედგენა.
- სახელმძღვანელოს ტექსტში პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ფაქტების, მოვლენებისა და თარიღების ერთმანეთისაგან გარჩევა და თავისი არჩევანის ზეპირად დასაბუთება.
- დამატებითი ლიტერატურის (ქრესტომათიები, ისტორიული და ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა), დამოუკიდებლად გაგება და გამოყენება.

საქართველოს ისტორიის კურსი XIII ს. 20-იანი წლებიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე

სასწავლო მასალის შინაარსი

- შესასწავლი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები, ძირითადი წყაროები და ისტორიოგრაფია (ზოგადი მიმოხილვა).
- საქართველოს ფეოდალური მონარქიის აღმავალი განვითარების შეფერხება.
- მონღოლთა ბატონობის ხასიათი და შედეგები.
- ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ.
- საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის დროებით აღდგენა. გიორგი ბრწყინვალე.
- თემურ ლენგის ლაშქრობები საქართველოში.
- საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად.
- ქართული კულტურა და ეკლესია XIII-XV საუკუნეებში.
- ქართული სამეფო-სამთავროების ბრძოლა უცხოელ დამპყრობლებთან XV ს. მეორე ნახევარში და XVI ს. პირველ ნახევარში.
- საქართველოს სამეფო-სამთავროების ბრძოლა უცხოელ დამპყრობლებთან XVI საუკუნის მეორე ნახევარში და XVII ს. დასაწყისში.
- ქართლისა და კახეთის სამეფოები ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.
- ქართულ სამეფო-სამთავროთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII სს.
- ქართული კულტურა და ეკლესია XVI-XVII საუკუნეებში.
- ქართული სამეფო-სამთავროების საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა XVIII ს. პირველ ნახევარში.
- ქართული სამეფო-სამთავროების საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა XVIII ს, მეორე ნახევარში.

- ქართული კულტურა XVIII საუკუნეში.
- გეორგიევსკის ტრაქტატი.
- კრწანისის ბრძოლა

მოსწავლის ცოდნის სავალდებულო მინიმუმი

საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის პირველი კონცენტრის მეორე ნაწილის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოების პირობითობა.
- მონღოლთა მზვერავ რაზმებთან და ჯალალ ედინთან საქართველოს დამარცხების სუბიექტური და ობიექტური მიზეზები.
- მონღოლთა მიერ საქართველოში დამყარებული რეჟიმის ხასიათი, მონღოლთა ბატონობის პირველი და მეორე პერიოდის თავისებურებები და დამახასიათებელი ნიშნები.
- მონღოლ დამპყრობლებთან ქართველი ხალხის ბრძოლის ძირითადი ეტაპები გიორგი ბრწყინვალეს დროს საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მნიშვნელობა.
- თემურ ლენგის ლაშქრობათა მიზეზები და გამანადგურებელი შედეგები.
- ერთიანი ფეოდალური საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის მიზეზები და შედეგები.
- XIII-XV საუკუნეების ქართული კულტურის დაცემა-დაქვეითების ძირითადი მიზეზები და შედეგები.
- XVI საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროების საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესებისა და შინაფეოდალური პარტიკულარიზმის გაძლიერების მიზეზები და შედეგები.
- ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოს დაპყრობა-დამორჩილების ირანულ-ოსმალური გეგმების ჩაშლის საქმეში.

- ქართული სამეფო-სამთავროების სამეურნეო-ეკონომიკური დაცემა-დაქვეითების საგარეო და საშინაო მიზეზები და შედეგები.

- ქართული კულტურის გამოცოცხლების მიზეზები და შედეგები XVII ს. 30-იანი წლებიდან.

- ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო და საშინაო მდგომარეობა XVIII ს. პირველ ნახევარში. რუსეთთან ქართლის სამეფოს ურთიერთობის გაფართოებისა და სამხედრო კავშირის დამყარების შედეგები.

- ქართული სამეფო-სამთავროების საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევარში და მათი გამაერთიანებელი ტენდენციების შედეგები.

- XVIII ს. ქართული კულტურის გამოცოცხლების მიზეზები და შედეგები. სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედების მნიშვნელობა ქართული ენისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.

- პრორუსული საგარეო პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ორიენტაციის გაძლიერების მიზეზები. გეორგიევსკის ტრაქტატის შინაარსი და რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლის პირობები.

- რუსეთის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევა და ირანის აგრესიის წაქეზება. კრწანისის ბრძოლის საბედისწერო შედეგები.

მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნება და უნარ-ჩვევები

საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის პირველი კონცენტრის მეორე ნაწილის გავლის შემდეგ VIII კლასის მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა და მისი ცალკე გამოყოფის პირობითობის ზეპირი დასაბუთება.

- შესასწავლი პერიოდის წყაროებში, სახელმძღვანელოებსა და დამატებით ლიტერატურაში სხვადასხვა ქრონოლოგიური სისტემებით მოცემული თარიღების თანამედროვე ქრისტიანულ სისტემაზე გადაყვანა,აგრეთვე ქრისტიანული ქრონოლოგიური სისტემით დაფიქსირებული თარიღების სხვა ქრონოლოგიურ სისტემებზე გადაყვანა.

- ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ და მიზეზშედეგობრივ თანმიმდევრობებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავების ზეპირი ახსნა-განმარტება და დასაბუთება.

- ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შინაარსის ზეპირი ახსნა-განმარტება.
- ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღმოჩენა იმ შემთხვევებშიც, როცა ეს პირდაპირ არ არის მითითებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის ტექსტებში.
- ყველა სახის ისტორიული რუკის (ქრონოლოგიური, თემატური, სპეციალური და სხვ.) ერთმანეთისაგან განსხვავება და პრაქტიკული გამოყენება.
- მშობლიური ქვეყნის პოვნა, მისი საზღვრების და მეზობელი ქვეყნების აღნიშვნა მსოფლიოს რუკებზე და გლობუსზე.
- სახელმძღვანელოთა პროგრამების ტექსტების დამოუკიდებლად გაგება და მათი შინაარსის ზეპირად გადმოცემა.
- სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში მოცემული დოკუმენტური წყაროების ტექსტების დამოუკიდებლად გაგება და მათი შინაარსის ზეპირად გადმოცემა.
- მშობლიური ქვეყნის შემადგენელი კუთხეებისა და პროვინციების საზღვრების, ისტორიული და თანამედროვე ცენტრების ჩვენება რუკაზე.
- სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში მოცემული სქემების, დიაგრამებისა და გრაფიკული გამოხატულებების შინაარსის გაგება, ზეპირი ახსნა-განმარტება და პრაქტიკული გამოყენება.
- სახელმძღვანელოებში მოცემული ყველა ისტორიული ცნებისა და ტერმინის ზეპირი ახსნა-განმარტება. ლექსიკონების შედგენა.
- ისტორიული ცნებისა და ტერმინების დასადგენად საერთო და სპეციალური ლექსიკონების გამოყენება.
- მშობლების, ნათესავების, ნაცნობების თუ უცნობი პირებისგან მოსმენილი ისტორიული ლეგენდების, გადმოცემების ჩაწერა და პრაქტიკული გამოყენება.
- სასკოლო კურსში მოცემული ისტორიული თარიღებიდან მთავარი თარიღების შერჩევა და მათი ნუსხის შედგენა.
- ფარნავაზიანთა, არშაკუნიანთა, ხოსროიანთა და ბაგრატიონთა იმ მეფეების თანმიმდევრული სიის შედგენა, რომლებიც მოხსენიებულია სახელმძღვანელოში.

სასწავლო მასალის შინაარსი

- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდიზაცია.
- რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა.
- ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება.
- ცარიზმის კოლონიზატორულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერება.
- ქართული კულტურა XIX საუკუნის პირველ ნახევარში.
- საქართველო ბატონყმობის გაუქმებისა და ბურჟუაზიული რეფორმების ხანაში.
- კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში.
- აჭარისა და სხვა მიწების დაბრუნება და ქართველი ერის კონსოლიდაცია.
- თერგდალეულები ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში.
- ქართველი ხალხის ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ XIX ს. დასასრულს და XX ს. დასაწყისში.
- ქართული კულტურა XIX ს. მეორე ნახევარში.
- საქართველო რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.
- საქართველო პირველი მსოფლიო იმისა და თებერვლის რევოლუციის პერიოდში.
- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.
- საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობა.
- საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციასა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

- ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის განახლება. 1924 წლის აჯანყება.
- საქართველო „სახელმწიფო სოციალიზმის“ მშენებლობის პერიოდში.
- „კულტურული რევოლუცია“ საქართველოში.
- 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები.
- საქართველო მეორე მსოფლიო იმის პერიოდში.
- საქართველო საბჭოთა რეჟიმის რღვევის პერიოდში.
- საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.
- ქართული კულტურა 40-80-იან წლებში.
- საქართველო თანამედროვე ეტაპზე.
- რას გვასწავლის საქართველოს ისტორია.

მოსწავლის ცოდნის საბალდებულო მინიმუმი

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლის შედეგად IX კლასის მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შინაარსი, თავისებურებანი და ქრონოლოგიური ჩარჩოები.
- რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმების ძირითადი ფაქტები და მოვლენები, მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები და შედეგები.
- ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი პერიოდის აჯანყებებისა და გამოსვლების ხასიათი, მიზეზები და შედეგები.
- ცარიზმის კოლონიზატორულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერების მიზეზები და 40-იანი წლების ადმინისტრაციული მმართველობის გარდაქმნის შედეგები.
- 1832 წლის აჯანყების („შეთქმულების“) თავისებურებები, დამარცხების მიზეზები

და შედეგები, ისტორიული მნიშვნელობა და ადგილი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

XIX ს. პირველ ნახევარში ქართული კულტურის განვითარების ძირითადი ფაქტები და მოვლენები, განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აღორძინების ხელშემწყობი და დამაბრკოლებელი ფაქტორები.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებისა და ბურჟუაზიული რეფორმების მომზადებისა და განხორციელების ძირითადი ფაქტები და მოვლენები, მათი პროგრესული მნიშვნელობა საქართველოში ბურჟუაზიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ტემპები და ეტაპები, ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების თავისებურებები, ეროვნული ბურჟუაზიის სისუსტისა და მუშათა კლასის მრავალეროვნულობის მიზეზები. საქართველოს სამრეწველო განვითარების კოლონიური ხასიათი და ჩამორჩენილობის მიზეზები.

კაპიტალიზმის განვითარების, აჭარისა და სხვა მიწების მშობლიური ქვეყნის წიაღში დაბრუნების მნიშვნელობა ქართველი ერის შემდგომი კონსოლიდაციისათვის.

XIX ს. მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებები, ხალხოსანთა მარცხისა და თერგდალეულთა წარმატების მიზეზები, მათი მოღვაწეობის პროგრამა და შედეგები, დაშლა პირველ და მეორე „დასებად“. თერგდალეულობის ისტორიული მნიშვნელობა.

სოციალურ ურთიერთობათა გამწვავება XIX-XX სს. მიჯნაზე. მუშათა და გლეხთა მოძრაობის დაწყება. მარქსიზმის გავრცელება. ქართული სოციალ-დემოკრატიის („მესამე დასის“) დამოკიდებულება

თერგდალეულთა პირველ და მეორე დასებთან. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესვლა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

XIX ს. მეორე ნახევრის ქართული კულტურის აღმავლობის მიზეზები და შედეგები, მათი მნიშვნელობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებისათვის.

რუსეთის პირველი რევოლუციის მიზეზები და ხასიათი, მისი განვითარების ძირითადი ეტაპებისა და მოვლენების გამოძახილი საქართველოში, პოლიტიკური პარტიების პროგრამები, სტრატეგია და ტაქტიკა. რევოლუციის დამარცხების მიზეზები და შედეგები.

- საქართველოს მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომისა და თებერვლის რევოლუციის პერიოდში. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია.

- საქართველოს მდგომარეობა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. რუსეთის ჯარების მიერ საქართველოსა და ამიერკავკასიის დატოვება. თურქეთის მიერ ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქების მიტაცება. გერმანიის „შუამავლობა“ და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ისტორიული მნიშვნელობა.

- საქართველოს დემოკრატიული რკსპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპები. საბჭოთა რუსეთის მიერ პროვოცირებული აჯანყებებისა და გამოსვლების ლიკვიდაცია. აგრარული და შინაეროვნული პრობლემების გადაწყვეტა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთთან. საერთაშორისო აღიარების მოპოვება.

- ქართული კულტურის ნაციონალიზაციის, დემოკრატიზაციისა და ევროპიზაციის პირველი შედეგები. ღონისძიებანი განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებში.

- საქართველოს მიმართ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის თვალთმაქციური ხასიათი. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველი ცდის ჩაშლა და მეორე ლაშქრობის მომზადება. წითელი არმიის მიერ საქართველოს ხელმეორედ ოკუპაცია და ანექსია.

- რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის ხასიათი, რევკომების სისტემა. საქართველოს ძალდატანებითი შეყვანა ამიერკავკასიის ფედერაციაში და საბჭოთა კავშირში. „არაპროლეტარული„ პარტიების ლიკვიდაცია და პოლიტიკური რეპრესიების გაძლიერება.

- ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განახლება. 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა გამოსვლები. საყოველთაო აჯანყების მომზადება. 1924 წლის აჯანყების დამარცხების მიზეზები და შედეგები. აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა.

- საქართველოს სახალხო მეურნეობის გასახელმწიფოებრივებისა და ინდუსტრიალიზაციის იმპერიული ხასიათი და შედეგები. საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის ლიკვიდაციის პირველი ცდის მარცხი. საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის ლიკვიდაციის განხორციელების შედეგები.

- 20-იანი წლების „პროლეტკულტელობის“ შედეგები. 30-იანი წლების შუახანებიდან კულტურულ მშენებლობაში დამყარებული იდეოლოგიური რეჟიმის ხასიათი და შედეგები.

- საქართველოს მდგომარეობა „სახელმწიფო სოციალიზმის“ საბჭოთა საიმპერიო სისტემაში. საქართველოს გარდაქმნა მოკავშირე რესპუბლიკად.

- 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების განსაკუთრებული სიმკაცრის მიზეზები და შედეგები საქართველოში.

- ქართველი ხალხის წვლილი ფაშიზმზე პროგრესული კაცობრიობის გამარჯვების ისტორიულ საქმეში.

- იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებისა და პოლიტიკური რეპრესიების განახლების მიზეზები და შედეგები. ომისშემდეგდროინდელ საქართველოში. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის მიზეზები და შედეგები. საქართველოს მდგომარეობა „უძრაობის“ პერიოდში. 1978 წლის 14 აპრილის ამბები თბილისში. საქართველოს მდგომარეობა საბჭოთა კავშირის „გარდაქმნის“ პერიოდში. ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის საყოველთაო-სახალხო მოძრაობად გადაქცევა. 1989 წლის 9 აპრილის ამბები თბილისში.

- საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ისტორიული მნიშვნელობა.

- ომისა და ომისშემდგომდროინდელი იდეოლოგიური რეპრესიების უარყოფითი გავლენა ქართული კულტურის განვითარებაზე. ქართული კულტურის ძირითადი მიღწევები და ნაკლოვანებები.

- თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

- საქართველოს ისტორიის ძირითადი გაკვეთილები უძველესი დროიდან დღემდე: ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, თანასწორობისა და სხვა საკაცობრიო იდეალებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის მნიშვნელობა, მისი წვლილი მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებაში.

მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება და უნარ-ჩვევები

საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის პირველი კონცენტრის გავლის შემდეგ IX კლასის მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- საქართველოს ისტორიის საგნის, პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიური ჩარჩოების ზეპირი და წერილობითი განმარტება.

- ძირითადი ქრონოლოგიური სისტემებით დაფიქსირებული თარიღების სხვთა ძირითად ქრონოლოგიურ სისტემაზე გადაყვანა.
- საბაზო სკოლის სახელმძღვანელოებში შეტანილი ძირითად ისტორიულ მოვლენებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ახსნა-განმარტება.
- ისტორიული რუკის პრაქტიკული გამოყენება და სათანადო ახსნა-განმარტება.
- საბაზო სკოლისათვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებების გამოყენება.
- სახელმძღვანელოებში მოცემული ყველა ისტორიული ცნებისა და ტერმინის ზეპირი განმარტება.
- სახელმძღვანელოებში მოცემული პარაგრაფებისა და ქვეპარაგრაფების შინაარსის
- ზეპირი გადმოცემა.
- სახელმძღვანელოებში მოცემული ყველა ილუსტრაციის შინაარსის ზეპირი გადმოცემა.
- სახელმძღვანელოებში მოცემული ყველა დიაგრამის, გრაფიკული ნახაზის შინაარსის გაგება და ზეპირი განმარტება.
- მასწავლებლის დავალებით ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მარტივი დიაგრამების აგება.
- მოსმენილი ისტორიული ლეგენდებისა და თქმულებების ტექსტის ჩაწერა და მათი შინაარსის განმარტება.
- სასკოლო ქრესტომათიებში შეტანილი ისტორიული წყაროების ძირითადი შინაარსის გაგება და ზეპირი განმარტება.
- დამხმარე ისტორიული ლიტერატურის გამოყენება.
- მხატვრული ისტორიული ლიტერატურის გამოყენება.
- ლექსიკონებისა და სხვა საცნობარო ლიტერატურის გამოყენება.
- სასკოლო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის ტექსტებში მოცემული ისტორიული ფაქტებიდან მთავარი და მეორეხარისხოთანი ფაქტებისა და მოვლენების გამორჩევა.

საქართველოს ისტორიის კურსი უძველესი დროიდან XIII საუკუნის 20-იან წლებამდე

საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის მეორე კონცენტრი მიზნად ისახავს მშობლიური ისტორიის შესწავლას ისტორიოგრაფიულ და პლურისტულ-ალტერნატივულ ჭრილში. ამ ეტაპზე მოსწავლემ უნდა შეიმეცნოს არა მარტო ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, არამედ აგრეთვე მათი დადგენისა და შეფასების, ე.ი. ჭეშმარიტების ძიების პროცესიც. ეს მას შესაძლებლობას მისცემს, უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლოს და გაიაზროს მშობლიური ქვეყნის ისტორიაც და თვით მთელი ისტორიული მეცნიერების სპეციფიკაც. მხოლოდ ასეთი გზით გაიგებს ის, თუ რატომ ხდება, რომ ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტზე და მოვლენაზე შეიძლება არსებობდეს მრავალი შეხედულება, რომელთაგან მხოლოდ ერთია ჭეშმარიტი, ამავე დროს ის დარწმუნდება, რომ ასეთი გზით მიღებული ისტორიული ცოდნა გაცილებით უფრო მყარი და საფუძვლიანია.

სასწავლო მასალის შინაარსი

- სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის თეისტური სქემები და მეცნიერული ჰიპოთეზები და თეორიები.
- საქართველოს ისტორიის საგანი, მისი შესწავლის მეთოდები და ამოცანები.
- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები და ზოგადი დახასიათება.
- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ძირითადი წყაროები.
- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ისტორიოგრაფია (ზოგადი მიმოხილვა).
- საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების როლი ქართველი ხალხის ისტორიაში.
- ქართველთა წარმომავლობისა და ავტოქტონობის პრობლემები.
- ქვის ხანის ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე.
- ბრინჯაოს ხანის საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე.

- ქართველ ტომთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები - დიაოხი და კოლხა.
- ეგრისის (კოლხეთისა) და იბერიის (ქართლის) სახელმწიფოების ჩამოყალიბება.
- ეგრისისა და იბერიის სამეფოები ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.
- ანტიკური და ელინისტური ხანის ქართული კულტურა.
- ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა საქართველოში.
- ქრისტიანობის გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება საქართველოში.
- ქართველი ხალხის ბრძოლა პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის. ვახტანგ გორგასალი.
- ირანისა და ბიზანტიის მეტოქეობის გაძლიერება ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის და საქართველო.
- საქართველო არაბთა ბატონობის პერიოდში.
- ქართული კულტურა და ეკლესია IV-VIII სს.
- ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის.
- ქართული კულტურის აღმავლობა და ქრისტიანული ეკლესიის როლის გაძლიერება IX-XI სს.
- საქართველოს გაერთიანების დასრულება და მრავალეროვანი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბება. დავით აღმაშენებელი.
- ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერება. თამარ მეფე.
- ფეოდალური საქართველოს საზოგადეობრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება.
- ქართული კულტურა XII-XIII ს. დასაწყისში.

მოსწავლის ცოდნის საშალდებულო მინიმუმი

საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის მეორე კონცენტრის პირველი ნაწილის შესწავლდის შედეგად X კლასის მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის მეცნიერული ჰიპოთეზებისა და თეორიების უპირატესობა რელიგიურ წარმოდგენებთან შედარებით.

- ისტორიის შესწავლისა და გადმოცემის კომპლექსური მეთოდის უპირატესობა ყველა სხვა მეთოდთან შედარებით.

- ისტორიის პერიოდიზაციის ზოგადი პრინციპები, ძველ, შუა, ახალ და უახლეს პერიოდებად დაყოფის უპირატესობა. სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებად დაყოფასთან შედარებით, საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის მსგავსება და განსხვავება.

- ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპები, ადგილობრივი ნივთიერი და წერილობითი წყაროების უპირატესობა უცხოურ წყაროებთან შედარებით.

  საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები. ვახუშტი ბაგრატიონისა და ივანე ჯავახიშვილის განსაკუთრებული დამსახურება ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბებაში.

- ისტორიაში გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ არსებული ძირითადი შეხედულებები, საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გავლენა ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურაზე და ეთნოფსიქოლოგიაზე.

- ქართველთა წარმომავლობისა და ავტოქტონობის შესახებ შეხედულებათა განვითარების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე.

- საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის დამადასტურებელი ძეგლების აღმოჩენისა და მეცნიერული შესწავლის ძირითადი ეტაპები, ქვის ხანის პერიოდები და მათი შესაბამისი საზოგადოებრივი გაერთიანებები.

- საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის შესახებ შეხედულებათა განვითარების ეტაპები. ბრინჯაოს ხანის პერიოდები და მათი შესაბამისი საზოგადოებრივი გაერთიანებები.

- ქართველ ტომთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების-დიაოხისა და კოლხას ადგილი ქართულ და მსოფლიო ცივილიზაციაში.

- ეგრისის, როგორც პირველი დასავლეთქართული სახელმწიფოს, და ქართლის, როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პირველი ერთიანი სახელმწიფოს, ადგილი ქართულ და მსოფლიო ცივილიზაციაში.

- ეგრისისა და ქართლის ისტორიის ძირითადი ფაქტები და მოვლენები ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე. სტრაბონის ცნობები იმდროინდელი საქართველოს სოციალური სტრუქტურის შესახებ და მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

- ანტიკური და ელინისტური ხანის ქართული კულტურის ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში. საერთო სახელმწიფოებრივი კერპთთაყვანისმცემლობისა და „არმაზის ბილინგვის" ისტორიული მნიშვნელობა.

- ფეოდალიზმის არსი და საქართველოში მისი ჩასახვა-განვითარების ძირითადი ეტაპები.

- ქრისტიანობის ადგილი მსოფლიოლ რელიგიების სისტემაში და საქართველოში მისი გავრცელებისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მიზეზები და ისტორიული მნიშვნელობა.

- საქართველოს საგარეო პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ორიენტაციის პრობლემების გამწვავება და ვახტანგ გორგასლის განსაკუთრებული როლი ამ პრობლემების გადაწყვეტაში.

- IV-VIII საუკუნეებში ქართული ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტები და მოვლენები, ქართული ანბანური დამწერლობის, პეტრე იბერისა და არგოპაგატიგის პრობლემები ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში.

- საქართველოში არაბთა ბატონობის ხასიათი და შინაარსი, პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ძირითადი ფაქტები და მოვლენები.

- ახალი ქართული სამეფო-სამთავროების გამაერთიანებელი ტენდენციების ზრდის საშინაო და საგარეო პირობები. ქართული მესიანიზმის თავდაცვითი ხასიათი და თავისებურებები.

- საქართველოს გამაერთიანებელი მოძრაობის ეტაპები და შედეგები. თურქ-სელჩუკთა ექსპანსიის ხასიათი და თავისებურებები.

- ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის განმტკიცების, ადგილობრივი და საზღვარგარეთის კულტურული ცენტრების გაფართოების, გამაერთიანებელი მოძრაობისა და ეთნიკური კონსოლიდაციის გავლენა ქართული კულტურის აღმავლობაზე.

- დავით აღმაშენებლის რეფორმატორულ-განმათავისუფლებელი მოღვაწეობის პროგრესული მნიშვნელობა, მის მიერ საქართველოს ისტორიული საზღვრების გაფართოების შეფასება ისტორიული და თანამედროვეობის თვალსაზრისით,
- თამარის ეპოქის განსაკუთრებული ადგილი საქართველოს ისტორიაში. საგარეო ექსპანსიის გაძლიერების მიზეზებისა და შედეგების შეფასება ისტორიული და თანამედროვეობის თვალსაზრისით.
- საქართველოს ფეოდალური მონარქიის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ხასიათი და შინაარსი.
- „ვეფხისტყაოსნისა“ და XII-XIII სს. ქართული კულტურის ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში.

მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება და ნარ-ჩვევები

საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის მეორე კონცენტრის პირველი ნაწილის შესწავლის შედეგად X კლასის მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- სახელმძღვანელოს ძირითად ტექსტში მოცემული ფაქტებისა და მოვლენების სხვადასხვანაირი შეფასებების დამოუკიდებლად გააზრება და საკუთარი შეხედულებების შემუშავება.
- საკუთარი შეხედულებების შინაარსის თანმიმდევრულად ჩამოყალიბება და ზეპირი ახსნა-განმარტება.
- თავისი შეხედულებების დაცვა და დასაბუთება სახელმძღვანელოში მოცემული მასალების მოშველიებით.
- სახელმძღვანელოში მოცემული ისტორიული წყაროების შინაარსის დამოუკიდებლად გაგება და თავისი შეხედულებების დასასაბუთებლად გამოყენება.
- სახელმძღვანელოების პარაგრაფების მოკლე შინაარსის შედგენა და მისი ზეპირად და წერილობით გადმოცემა.
- ქართული „მოქცევითა“ და „ქორონიკონით“ მოცემული თარიღების თანამედროვე ქრონოლოგიაზე გადაანგარიშება.
- სახელმძღვანელოში და დამხმარე სახელმძღვანელოებში მოცემული რუკების, სქემების, დიაგრამებისა და სხვა თვალსაჩინო მასალების პრაქტიკული გამოყენება.

- სახელმძღვანელოში გამოყენებული ცნებების ზეპირი ახსნა-განმარტება.
- განმარტებითი და სპეციალური ლექსიკონების გამოყენება.
- სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოების მიხედვით მცირე ზომის მოხსენების შედგენა და მოსწავლეთა საისტორიო წრეში მისი შინაარსის ზეპირად გადმოცემა.
- სასკოლო კედლის გაზეთისათვის სამუზეუმო ან საექსკურსიო შთაბეჭდილებების ამსახველი მცირე ზომის წერილის შედგენა.
- ტელევიზიისა და კინოს საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად გააზრება და საკუთარი ისტორიული ცოდნის გასამდიდრებლად გამოყენება.

საქართველოს ისტორიის კურსი
XIII ს. 20-იანი წლები - XVIII ს.

სასწავლო მასალის შინაარსი

- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები და ზოგადი დახასიათება.
- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ძირითადი წყაროები.
- საქართველოს ისტორიის შესასწავლი პერიოდის ისტორიოგრაფია (ზოგადი მიმოხილვა).
- საქართველოს აღმავალი განვითარების შეფერხება. ჯალალ ედ-დინის ლაშქრობები.
- მონღოლთა ბატონობის დამყარება საქართველოში. მონღოლთა ბატონობის შედეგები.
- ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ.
- საქართველოს განთავისუფლება მონღოლთა ბატონობისაგან. გიორგი ბრწყინვალე.
- თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და მათი შედეგები.

- საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად.
- ქართული კულტურა და ეკლესია XIII-XV საუკუნეებში.
- საქართველოს სამეფო-სამთავროების ბრძოლა უცხოელ დამპყრობლებთან XV ს. მეორე ნახევარში და XVI ს. პირველ ნახევარში.
- ქართლისა და კახეთის სამეფოები ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გიორგი სააკაძე.ქართულ სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII სს.
- ქართული კულტურა XVI-XVII სს.
- ქართული სამეფო-სამთავროები XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. პირველ ნახევარში.
- ქართული კულტურა XVIII ს. პირველ ნახევარში.
- საქართველოს სამეფო-სამთავროთა შინაპოლიტიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.
- ქართულ სამეფო-სამთავროთა საერთაშორისო მდგომარეობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.
- ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლა რუსეთის მფარველობაში.
- კრწანისის ბრძოლა.
- ქართული კულტურა XVIII ს. მეორე ნახევარში.

მოსწავლის ცოდნის სავალდებულო მინიმუმი

საქართველოს ისტორიის მეორე კონცენტრის მეორე ნაწილის ათვისების შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- საქართველოს ისტორიიდან XII-XVIII საუკუნეების ცალკე გამოყოფის პირობითობა, ქვეყნის ყოველმლხრივი დაქვეითების შინაგანი და გარეგანი მიზეზები.
- საქართველოს ისტორიის მოცემული პერიოდის ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები, მიღწევები და ნაკლოვანებები.
- საქართველოს ფეოდალური მონარქიის აღმავალი განვითარების შეფერხების, მონღოლთა მზვერავ რაზმებთან და ჯალალ ედ-დინთან ბრძოლებში

დამარცხების სუბიექტური და ობიექტური მიზეზები.

- მონღოლებთან გადამწყვეტ ბრძოლაში საქართველოს დამარცხების მიზეზები, მონღოლთა ბატონობის პირველი შედეგები.

- მონღოლთა რეჟიმის შინაგანი ევოლუცია და თანდათანობით დამძიმება, მათი ბატონობის პირველი და მეორე პერიოდების დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებები. საქართველოში მონღოლთა ბატონობის შედეგები.

- მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ძირითადი ეტაპები და მნიშვნელობა.

- მონღოლთა უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების შინაგანი და გარეგანი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, გიორგი ბრწყინვალეს მოღვაწეობის შედეგები, ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მნიშვნელობა.

- თემურ-ლენგის შემოსევათა მიზეზები და შედეგები, მათი საბედისწერო გავლენა ქართველი ხალხის მთელ შემდგომ ბედიღბალზე.

- სამეფო-სამთავროებად საქართველოს დაშლის მიზეზები და შედეგები, სამეფო-სამთავროთა საზღვრები, მოსახლეობა, სამეურნეო მდგომარეობა.

- მონღოლთა ბატონობისა და თემურ-ლენგის შემოსევების გადამწყვეტი გავლენა XIII-XV სს. ქართული კულტურის დაცემა-დაქვეითებაზე. გიორგი ბრწყინვალეს დროს ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლების მნიშვნელობა კულტურული აღორძინებისათვის.

- ბიზანტიის დაცემის, ირან-ოსმალეთის აგრესიის გაძლიერებისა და დასავლურ სამყაროსაგან მოწყვეტის გავლენა ქართულ სამეფო-სამთავროთა საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესებაზე. ქართლის სამეფოს წამყვანი როლი ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

- ირანისა და ოსმალეთის მიერ საქართველოს დანაწილებისა და ოსმალეთის მიერ სამცხის, აჭარისა და ჭანეთის მიტაცების საბედისწერო მნიშვნელობა მთელი ქართველი ხალხისათვის.

- ქართლისა და კახეთის სამეფოთა მოსახლეობის გმირული ბრძოლის გადამწყვეტი მნიშვნელობა შაჰ-აბასის მზაკვრული გეგმების ჩაშლაში. გიორგი სააკაძისა და თეიმურაზI მოღვაწეობის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

- XVI-XVII სს. ქართულ სამეფო-სამთავროთა საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა, ფეოდალურ ურთიერთობათა კრიზისისა და სათავადოთა სისტემის ჩამოყალიბების საშინაო და საგარეო მიზეზები.

- XVI ს. ქართული კულტურის უკიდურესი დაქვეითებისა და XVII ს. 30-იანი

წლებიდან მისი გამოცოცხლების შინაგანი და გარეგანი მიზეზები.

- ქართულ სამეფო-სამთავროთა საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა XVII ს. დასასრულს და XVIII ს. დასაწყისში. საგარეო პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ორიენტაციის პრობლემის გამწვავების მიზეზები, ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანის ევროპული და რუსული ორიენტაციის შედეგები.

- ქართული კულტურის აღმავლობისა და ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების მიზეზები და შედეგები XVIII ს. პირველ ნახევარში. ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახუშტი ბაგრატიონის კულტურული მოღვაწეობის მნიშვნელობა.

- ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების შინაპოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცება XVIII ს. მეორე ნახევარში. ერეკლე II და სოლომონ I მოღვაწეობის შედეგები.

- ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესება XVIII ს. მეორე ნახევარში: ირან-ოსმალეთის პოზიციების შესუსტება და რუსეთის პოზიციების გაძლიერება.

- რუსული ორიენტაციის გამარჯვება. გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები. ერეკლე II „არჩევანის" პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

- რუსეთის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევა. კრწანისის ბრძოლის საბედისწერო შედეგები.

- XVIII ს. მეორე ნახევრის ქართული კულტურის აღორძინების მიზეზები. დავით გურამიშვილი - ძველი ქართული პოეზიის მწვერვალი და ახალი ქართული პოეზიის ჩასახვის მაუწყებელი.

მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება და უნარ-ჩვევები

საქართველოს სისტემური კურსის მეორე კონცენტრის მეორე ნაწილის ათვისების შედეგად მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- სახელმძღვანელოებში, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში შეტანილი ძირითადი ტექსტებისა და დოკუმენტური წყაროების შინაარსში დამოუკიდებლად გარკვევა, სხვადასხვანაირი შეფასებების გაზრება და საკუთარი შეხედულების შემუშავება, მათი ზეპირად და წერილობით ჩამოყალიბება და ახსნა-განმარტება.

- თავისი შეხედულებების დაცვა და დასაბუთება სახელმძღვანელოში, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში მოცემული ძირითადი ტექსტებისა და წყაროების მოშველიებით.
- მასწავლებლის მიერ მოცემულ კონკრეტულ თემაზე მცირე ზომის კომპილაციური ხასიათის ნარკვევის დაწერა სახელმძღვანელოში, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში მოცემული მასალების საფუძველზე.
- სახელმძღვანელოში და დამხმარე სახელმძღვანელოებში შეტანილი ცნებებისა და ტერმინების ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება.
- სასკოლო ტექნიკური საშუალებების პრაქტიკული გამოყენება სასკოლო საილუსტრაციო მასალის დემონსტრირებისათვის.
- დამხმარე ისტორიული ლიტერატურის გამოყენება.
- ლექსიკონებისა და ენციკლოპედიების გამოყენება.
- სახელმძღვანელოში, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში მოცემული მასალებისა და წყაროების მიხედვით კონკრეტულ თემაზე კომპილაციური ხასიათის მოხსენების შედგენა და მოსწავლეთა საისტორიო წრეში მისი შინაარსის წარდგენა.
- სასკოლო კედლის გაზეთისათვის საისტორიო წერილის შედგენა.
- პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, თეატრის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად გააზრება და თავისი ისტორიული შეხედულებების დასასაბუთებლად გამოყენება.

საქართველოს ისტორიის კურსი XIX-XX სს.

სასწავლო მასალის შინაარსი

- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საგანი და პერიოდიზაცია.
- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ძირითადი წყაროები.
- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია (ზოგადი მიმოხილვა).

- რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა.
- ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება.
- რუსეთის მიერ ამიერკავკასიის დაპყრობის ძირითადად დამთავრება და კოლონიზატორულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერება.
- 1832 წლის აჯანყება („შეთქმულება“).
- საქართველო XIX ს. 40-50-იან წლებში.
- ქართული კულტურა XIX ს. პირველ ნახევარში.
- ბატონყმობის გაუქმება საქართველოში.
- XIX ს. 70-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმები საქართველოში.
- კაპიტალიზმის განვითარება და ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში.
- აჭარისა და სხვა მიწების დაბრუნება და ქართველი ერის შემდგომი კონსოლიდაცია.
- საქართველოს გლეხთა მოძრაობა და ხალხოსნები.
- თერგდალეულთა პროგრამის წყაროები და შინაარსი.
- თერგდალეულები ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში.
- თერგდალეულთა დაშლა „დასებად„.
- მუშათა მოძრაობის დაწყება და ქართული სოციალ-დემოკრატიის („მესამე დასის“) ჩამოყალიბება.
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება და რსდმ პარტიაში შესვლა.
- ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ძირითადი მიმდინარეობები XIX -XX სს. მიჯნაზე.
- ქართული კულტურა XIX ს. მეორე ნახევარში.
- საქართველო რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.
- საქართველო პირველი მსოფლიო ომისა და თებერვლის რევოლუციის

პერიოდში.

- ქართული კულტურა XX ს. დასაწყისში.
- საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა.
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა.
- კულტურული მშენებლობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.
- საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობა და ანექსია.
- საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.
- ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განახლება. 1924 წლის აჯანყება.
- საქართველოს სახალხო მეურნეობის გასახელმწიფოებრივება.
- საქართველოს სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია.
- საქართველოს სახალხო მეურნეობის კოლექტივიზაცია.
- „კულტურული რევოლუცია“ საქართველოში.
- საქართველო „სახელმწიფო სოციალიზმის“ საბჭოთა სისტემაში.
- 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები საქართველოში.
- საქართველო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.
- საქართველო ომისშემდგომ პერიოდში.
- საქართველო საბჭოთა რეჟიმის რღვევის პირველ ეტაპზე. 1956 წ. 9 მარტის ტრაგედია თბილისში.
- საქართველო საბჭოთა რეჟიმის რღვევის მეორე ეტაპზე. 1978 წ. 14 აპრილის ამბები თბილისში.
- საქართველო საბჭოთა კავშირის „გარდაქმნის“ პერიოდში. 1989 წ. 9 აპრილის ამბები თბილისში.
- ქართული კულტურა 40-80-იან წლებში.

- საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.
- საქართველო თანამედროვე ეტაპზე.
- რას გვასწავლის საქართველოს ისტორია.

მოსწავლეთა ცოდნის სავალდებულო მინიმუმი

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლის შედეგად მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საგანი, ქრონოლოგიური ჩარჩოები და შინაგანი პერიოდიზაციის პრინციპები.
- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ძირითადი წყაროები, მათი დაცვა-შენახვისა და პუბლიკაციის მდგომარეობა, მოქმედი ქრესტომათიების გამოყენების წესები.
- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები.
- რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის, ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შედეგები.
- XIX ს. პირველი ოცწლედის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (შეიარაღებული აჯანყებებისა და გამოსვლების) მიზეზები, მსვლელობა, შედეგები და ისტორიული მნიშვნელობა.
- რუსეთის მიერ საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის დაპყრობის ძირითადად დასრულებისა და ცარიზმის კოლონიზატორულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერების შედეგები.
- 1832 წლის აჯანყების („შეთქმულების“) მიზეზები, მიზნები, თავისებურებები და ადგილი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.
- XIX ს. 40-50-იანი წლების სამეურნეო გამოცოცხლების, ადმინისტრაციული რეფორმებისა და სოციალურ-განმათავისუფლებელი გამოსვლების მიზეზები და შედეგები. სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროების გაუქმების მნიშვნელობა რუსეთის მიერ საქართველოს პოლიტიკური დაპყრობის დასრულებისათვის.
- XIX ს. პირველი ნახევრის ქართული კულტურის ძირითადი მიღწევები.
- საქართველოში ბატონყმობის გაუქმების მიზეზები, შედეგები, ისტორიული

მნიშვნელობა.

- საქართველოში კაპიტალიზმის (საბაზრო ეკონომიკის) განვითარებისა და ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების ეტაპები, ზოგადი ნიშნები და თავისებურებები. მეტროპოლიასთან შედარებით საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზები.

- აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების, აჭარისა და სხვა მიწების დაბრუნებისა და კაპიტალიზმის განვითარების მნიშვნელობა უძველესი ქართველი ერის შემდგომი კონსოლიდაციისათვის.

- საქართველოს ხალხოსნური მოძრაობის განვითარების ეტაპები და მარცხის მიზეზები.

- თერგდალეულთა იდეურ-თეორიული წყაროები, მათი სამოღვაწეო პროგრამის ხასიათი და შინაარსი.

- თერგდალეულთა როლი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დაწყებასა და განვითარებაში.

- თერგდალეულთა პირველ და მეორე დასებად დაშლის მიზეზები და შედეგები, მათი პროგრამულ-ტაქტიკური პრინციპების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

- საქართველოში მუშათა კლასის ჩამოყალიბებისა და მარქსიზმის გავრცელების ძირითადი ეტაპები, „მესამე დასის“, როგორც ქართული სოციალ-დემოკრატიის, ურთიერთობა თერგდალეულთა პირველ და მეორე დასებთან და რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან.

- საქართველოს მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესვლა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ბოლშევიზმისა და მენშევიზმის წარმოშობა, მათი გავლენის ზრდა რუსეთის პირველი რევოლუციის წინახანებში.

- XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ძირითადი მიმდინარეობების არსი და ერთმანეთთან დამოკიდებულება.

- XIX ს. მეორე ნახევრის ქართული კულტურის აღორძინება-განახლების, „ევროპიზაციის“, დემოკრატიზაციისა და გამრავალფეროვნების მიზეზები და შედეგები, ი. ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა განსაკუთრებული როლი ქართული ლიტერატურისა და კულტურის სხვა დარგების ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩაყენების საქმეში.

საქართველოს სოციალური კლასებისა და ფენების, პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების პროგრამები, სტრატეგია და ტაქტიკა 1905-1907 წლების რევოლუციაში. რევოლუციის განვითარების ეტაპები და შედეგები.

სახელმწიფო სათათბიროს, სახელმწიფო საბჭოს, პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაციისა და სტოლიპინის რეფორმების მნიშვნელობა. საქართველოს ადგილი პირველ მსოფლიო ომში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციისა და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გასაშლელად.

ქართული კულტურის აღმავლობის მიზეზები და შედეგები, აგრარულ-ინდუსტრიული საზოგადოების საბინაო და შრომის პირობები, საოჯახო ყოფა, ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები, გართობა-სანახაობები XX ს. დასაწყისში.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საშინაო და საგარეო პირობები და ისტორიული მნიშვნელობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკის პრინციპები, მრავალწყობიანი ეკონომიკის მშენებლობის მიღწევები და ნაკლოვანებები, ეროვნული და აგრარული პრობლემების გადაწყვეტისათვის ბრძოლის შედეგები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრინციპები, მიღწევები და ნაკლოვანებები, საერთაშორისო აღიარების დაგვიანების მიზეზები და შედეგები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული მშენებლობის პრინციპები და შედეგები, მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმების მომზადებისა და განხორციელების ფაქტები და მოვლენები, დოკუმენტები და მასალები.

ძალდატანებით გასაბჭოებული საქართველოს ამიერკავკასიის ფედერაციაში და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეყვანის შედეგები.

1924 წლის საყოველთაო აჯანყების მიზეზები, შედეგები და ისტორიული მნიშვნელობა.

საქართველოს მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გასახელმწიფოებრივების შედეგები და მნიშვნელობა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის წყაროები, ტემპები,

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek -

მეთოდები, იმპერიული ხასიათი, ფორმალური და რეალური შედეგები.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის ლიკვიდაციის ტემპები, მეთოდები, ფორმალური და რეალური შედეგები.

- „კულტურული რევოლუციის“ ანუ იდეოლოგიზაციის მიზნები, ეტაპები და შედეგები საქართველოში.

- საქართველოს ადგილი გამარჯვებული „სახელმწიფო სოციალიზმის“ იმპერიულ სისტემაში, საქართველოს „მოკავშირე“ რესპუბლიკად გამოცხადების ხასიათი.

- 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების განსაკუთრებული სიმკაცრისა და სხვა თავისებურებათა მიზეზები საქართველოში. რეპრესიების მიზნები და შედეგები.

- ქართველი ხალხის წვლილი ფაშიზმზე პროგრესული კაცობრიობის გამარჯ ვების საქმეში.

- ომისშემდეგდროინდელი საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება. იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებისა და პოლიტიკური რეპრესიების განახლების მიზეზები და შედეგები.

- საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ლიბერალიზაციის პირველი ცდის რეალური შედეგები. 1956 შლის 9 მარტის ტრაგედია თბილისში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება.

- სამეურნეო რეფორმების ჩაშლა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა 60-70-იანი შლების „უძრაობის“ პერიოდში. 1978 შლის 14 აპრილის ამბები თბილისში.

- ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საყოველთაო-სახალხო მოძრაობად გადაქცევა. 1989 შლის 9 აპრილის ამბები თბილისში.

- 40-იანი წლების იდეოლოგიური რეპრესიების, 50-იანი წლების ლიბერალიზაციის, 60-70-იანი წლების „უძრაობისა“ და 80-იანი წლების „გარდაქმნის“ გავლენა ქართული კულტურის განვითარებაზე.

- საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის კრახის შინაგანი და საერთაშორისო პირობები. საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ისტორიული მნიშვნელობა.

- თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილება, საერთაშორისო მდგომარეობა. ეკონომიკური კრიზისის მიზეზები. გარდამავალი

პერიოდის სიძნელეები და მათი დაძლევის პერსპექტივები.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გაკვკთილები.

მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება და უნარ-ჩვევები

საქართველოს ისტორიის სისტემური კურსის მეორე კონცენტრის გავლის შედეგად XII კლასის მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

საქართველოს ისტორიის საგნის, პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიური ჩარჩოების ზეპირი და წერილობითი დასაბუთება.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში და დამხმარე ლიტერატურაში გატარებული ისტორიული კონცეფციების ერთმანეთისაგან განსხვავება, მისთვის მიუღებელი კონცეფციების მიმართ კრიტიკული შენიშვნებისა და მისაღები კონცეფციების უპირატესობათა ზეპირი და წერილობითი დასაბუთება.

სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის დაკონსპექტება, კონსპექტში შესატანად მის მიერ შერჩეული ფაქტების, თარიღების, მოვლენებისა და დებულებების პირველხარისხოვანი მნიშვნელობის დასაბუთება.

მოსწავლის მიერ მიცემულ ან საკუთარი ინიციატივით შერჩეულ კონკრეტულ ისტორიულ თემაზე ბიბლიოგრაფიისა და სტრუქტურული გეგმის შედგენა, მოპოვებული წყაროებისა და ლიტერატურის საფუძველზე კომპილაციური ხასიათის მცირე მოცულობის ნარკვევის დაწერა.

საკუთარი კომპილაციური ნარკვევის კონსპექტის, ანოტაციის, თეზისების შედგენა და მათ საფუძველზე სასკოლო საისტორიო წრეში ზეპირი მოხსენებით გამოსვლა, რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონფერენციებსა და კონკურსებში მონაწილეობის მიღება.

საკუთარი კომპილაციური ნარკვევის მოკლე შინაარსისა და დასკვნების შედგენა სასკოლო კედლის გაზეთში გამოსაქვეყნებლად.

საკუთარი ან მის მიერ გაზიარებული ისტორიული შეხედულებების ზეპირი და წერილობითი დაცვა სასკოლო, დამხმარე და საერთო ლიტერატურის, პრესის, რადიოს, კინოს, ტელევიზიის, კომპიუტერული და სხვა მასალების მიშველიებით.

სასკოლო და სკოლისგარეშე საისტორიო დისკუსიებში, წარმოდგენებში,

განხილვებში, გასამართლებებში მონაწილეობის მიღება და საკუთარი მოსაზრებების გარკვეული წყაროებითა და არგუმენტებით დასაბუთება.

- სასკოლო და სკოლისგარეშე ლიტერატურაში მოცემული ნებისმიერი ქრონოლოგიური სისტემით დაფიქსირებული თარიღების სხვა ნებისმიერ ქრონოლოგიურ სისტემებზე გადაყვანა.

- ნებისმიერი ისტორიული რუკის (მსოფლიო, რეგიონალური, სახელმწიფოებრივი,ქრონოლოგიური, თემატური, ეპიზოდური და სხვ.) პრაქტიკული გამოყენება.

- საშუალო სკოლისათვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

- საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში მოცემული ყველა ცნების, ტერმინის, ილუსტრაციის, დიაგრამისა და სხვა თვალსაჩინოების შინაარსის ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება.

- მასწავლებლის მიერ მიცემული ან საკუთარი ინიციატივით მოპოვებული ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალების საფუძველზე საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის თუ ცალკეული ასპექტების (მოსახლეობა, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება, ომები, კულტურის ძეგლები და სხვ.) ამსახველი დიაგრამების შედგენა და პრაქტიკული გამოყენება.

- ყველა სახის სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, ქრესტომათიების, დოკუმენტური კრებულების, ლექსიკონების, ენციკლოპედიების, მხატვრული და სპეციალური ლიტერატურის გამოყენება.